

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმი**

1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი სისტემატიურად ატარებს სტუდენტების მოსწრების მონიტორინგსა და ანალიზს. ამ პროცესს შემდეგი მიზნები აქვს:
  - ა) სტუდენტზე ორიენტირებული ინტერვენციების დაგეგმვა;
  - ბ) აკადემიური პროგრამის განვითარება და გაუმჯობესება;
  - გ) სასწავლო პროცესის მართვის ზოგადსაუნივერსიტეტო მექანიზმების სრულყოფა.
2. სტუდენტთა მოსწრების ანალიზისათვის საწყის მონაცემებს წარმოადგენს არგუსის ბაზა სტუდენტთა მოსწრების შესახებ (ნიშნების შეფასების ყველა კომპონენტში, არჩეული და მიღებული კრედიტების რაოდენობა საგნების მიხედვით და სტუდენტის დემოგრაფიული მახასიათებლები).
3. არგუსის ბაზაზე დაყრდნობით დაინტერესებული მხარეებისთვის (მათი ამოცანებიდან გამომდინარე) უზრუნველყოფილია სხვადასხვა ტიპის ნედლ და დამუშავებულ მონაცემებზე წვდომა.
  - ა) სტუდენტის მოსწრების ინდივიდუალური პროგრესი;
  - ბ) მოსწრება კურსის ფარგლებში (აღწერითი სტატისტიკა კურსის მიხედვით)<sup>1</sup> ;
  - გ) მოსწრება პროგრამის ფარგლებში;
  - დ) მოსწრება მიმართულების ფარგლებში.
4. მოსწრება კურსის ფარგლებში  
მოსწრების ანალიზის ეს კომპონენტი განსხვავებულია სხვა ზემოთჩამოთვლილთაგან, რადგან ანგარიში ავტომატურად იქმნება არგუსის ელ. სისტემაში და აისახება ლექტორის პირად გვერდზე.
5. პროფესორი/ლექტორი/მასწავლებელი სემესტრის დასრულების შემდეგ არგუსის ელ.სისტემაში ხედავს სტუდენტების ნიშნების განაწილებას როგორც კურსის, ისე ამ კურსის შიგნით საკუთარ ჯგუფების მიხედვით. ამ მონაცემებზე (სტუდენტების გამოკითხვის შედეგებთან ერთად) დაყრდნობით პროფესორი/ლექტორი/მასწავლებელი აფასებს და აუმჯობესებს საკუთარ კურსს. მონაცემების ვიზუალიზაცია ხდება ავტომატურად არგუსის ელ. სისტემის მიერ. გამოკითხვის დასრულებისთანავე არგუსის ელ. სისტემა უზრუნველყოფს რაოდენობრივი მონაცემების ვიზუალიზაციას დიაგრამებისა და სქემების სახით. სისტემა ასევე აძლევს კურსის შეფასების ამგვარად გენერირებული შედეგების ხილვის შესაძლებლობას ყველა პროფესორს/ლექტორს/მასწავლებელს, ფაკულტეტს/სკოლას, ფაკულტეტის/სკოლის ხარისხს.
6. სტუდენტების ინდივიდუალური პროგრესი, მოსწრება პროგრამისა და მიმართულების მიხედვით  
ამ კუთხით მონაცემების ანალიზი და ვიზუალიზაცია ხორციელდება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურიში მიერ არგუსის ნედლი მონაცემთა ბაზის დამუშავების შედეგად. ნედლი მონაცემთა ბაზა შეიცავს ინფორმაციას სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო კურსის ფარგლებში ყველა აქტიური სტუდენტის მოსწრების შესახებ. (დანართის სახით მოცემულია არგუსის ნედლი ელ. ბაზის ველები. დანართის სახით მოცემულია არგუსის ნედლი ელ. ბაზის ველები).
7. არგუსის ბაზების გენერირება ხორციელდება სემესტრულად, აკადემიური კალენდრით გათვალისწინებული საგამოცდო პერიოდის დასრულების შემდეგ.
8. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური არგუსის ბაზების დამუშავების შედეგად წელიწადში ერთხელ ქმნის ანგარიშს, რომელიც შეიცავს მოსწრების მონაცემებს (კრედიტები, ქულების საშუალო მაჩვენებლები) სტუდენტის, პროგრამის სავალდებულო კომპონენტისა და მიმართულების მიხედვით.

9.

<sup>1</sup> ამ მონაცემებს ავტომატურად აგენერირებს არგუსის ელ. სისტემა

10. ამასთანავე, მონაცემების დამუშავება ხდება იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს სტუდენტების მოსწრების დროში ანალიზი (დინამიკის დანახვა და ჩავარდნების იდენტიფიკაცია).
11. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შექმნილი კვლევის ანგარიში გამოიყენება პროგრამის ხელმძღვანელების და ფაკულტეტების/სკოლების მიერ პროგრამის კომპონენტების/ კურსების დახვეწასა და განვითარებისთვის. აღნიშნული შედეგები აისახება პროგრამის პერიოდული თვითშეფასების ანგარიშში, რომელსაც ამზადებს პროგრამის ხელმძღვანელი და წარადგენს ფაკულტეტის/სკოლის საბჭოზე.
12. აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმის ამოქმედება და შესაბამისი ანგარიშების წარმოება დაგეგმილია 2018 წლის შემოდგომის სემესტრიდან.

### **დანართი #1 (არგუსის ბაზის ველები სტუდენტთა მოსწრების ანალიზისათვის)**

#### **სტანდარტული ველები:**

სახელი, პირადი ნომერი, ელ. ფოსტა, ტელეფონის ნომერი 1, ტელეფონის ნომერი 2, სახლის ნომერი, ტიპი, სტუდენტის სემესტრი, ძირითადი ფაკულტეტი, სტუდენტის სასურველი ძირითადი პროგრამა, მეორადი სასურველი პროგრამა, სქესი, დაბადების თარიღი, ჩარიცხვის ბრძანების ნომერი, კვალიფიკაციის მინიჭების ოქმის ნომერი, სტუდენტის სტატუსი, ჩარიცხვის მეთოდი,

#### **თვლადი ველები:**

სტუდენტი სემესტრში რამდენ საგანზეა რეგისტრირებული;  
სტუდენტი სემესტრში რამდენ საგანში ჩაიჭრა;  
რა არის სტუდენტის სემესტრული საშუალო ქულა;  
სტუდენტი სემესტრში რამდენ სავალდებულო კურსზეა დარეგისტრირებული;  
სტუდენტი სემესტრში რამდენ სავალდებულო კურსზე ჩაიჭრა;  
რა არის სტუდენტის სემესტრული სავალდებულო კურსების საშუალო;  
სტუდენტის ყველა სემესტრის სავალდებულო კურსების რაოდენობა;  
რა არის ყველასტუდენტის სემესტრის სავალდებულო კურსების საშუალო;